

წარმოგიდგენთ შპს „ალსს“-ს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს)

პატივისცემით,

დირექტორი



ნატალია ქართველიშვილი

27 სექტემბერი 2024 წელი.

შპს „აღოს“

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია


ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

შპს „ალსს“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115528	193468	9010
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1469441	1950013	2224386
სხვა პირებზე ავანსებად და სხვა	5157	6301	5157
მზა პროდუქცია	59665	0	0
სხვა		122945	98934
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1229	1446	1700
ძირითადი საშუალებები	1518698	1397484	1461222
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	3169718	3671657	3800409
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	124262	431292	431763
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	761858	1027389	1027389
საგადასახადო ვალდებულებები	277548	345009	347273
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	113474	30605	76089
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	544206	847962	1009936
მიღებული გრანტები	39985	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0

სულ ვალდებულებები	1861333	2682257	2892450
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი	20108	20108	20108
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	406220	969292	887851
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	882057	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1308385	989400	907959
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3169718	3671657	3800409

შპს „ალსს“-ის



დირექტორი ნატალია ქართველიშვილი

შპს „ალს“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	5106157	6928825	7234930
საქონლის გაყიდვიდან	0	0	0
მომსახურების გაწევიდან	5103097	6928825	7129801
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	105129
სხვა	3060	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1374698	-1952290	-1744521
საწყისი მარაგები	0	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0	0
საბოლოო მარაგები	0	0	0
საერთო მოგება	3731459	4976535	5490409
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0	32003
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2748294	-4570872	-4120466
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-120728	-78203	-81589
საპროცენტო შემოსავალი	0	0	0
საპროცენტო ხარჯი	-41954	-34930	-47542
იჯარის ხარჯი	-180000	-165000	-180000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-501326	-177202	-1008735
სულ საოპერაციო ხარჯები	-3592302	-5026207	-5406329
საოპერაციო მოგება	139157	-49672	84080
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		0	0
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0		
მიღებული დივიდენდები	0	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	200737	12382	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		-37290	84080
განგრძობითი ოპერაციებიდან	339894		
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	339894	-37290	84080
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		0	0
გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი			
ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი		0	0
პროგრამები)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	339894	-37290	84080

შპს „ალსს“-ის დირექტორი



ნატალია ქართველიშვილი

შპს „ალსს“-ის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2021	20108	1797755		1817863
გაცემული დივიდენდები	-	-		-
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-993984		-993984
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-	84080		84080
31 დეკემბერი 2021	20108	887851		907959
გაცემული დივიდენდები	-	-		-
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	118731		118731
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-37290		-37290
31 დეკემბერი 2022	20108	969292		989400
გაცემული დივიდენდები	-	-		-
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-20909		-20909
მთლიანი სრული შემოსავალი	-	339894		339894
31 დეკემბერი 2023	20108	969292		1308385

შპს „ალსს“-ის დირექტორი



ნატალია ქართველიშვილი

შპს „აღოს“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-77940	184458	-431250
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	-77940	184458	-431250
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	193468	9010	440260
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	115528	193468	9010

**შპს „ალსს“-ის დირექტორი
ნატალია ქართველიშვილი**

Fullerton



შპს „ალსს“-ის

2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. “ ალსს“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 1995 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისის ვაკის რაიონულ სასამართლოში სარეგისტრაციო ნომრით 5/4-187 და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 204853783;

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

01008010953, ნატალია ქართველიშვილი 25.000000000%

01008010952, გიორგი ქავთარაძე 25.000000000%

01007002162, ნატო შალამბერიძე 25.000000000%

01007008523, ნინო შალამბერიძე 25.000000000

საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ტ. ტაბიძის I შეს., №3

საზოგადოების დირექტორი: ნატალია ქართველიშვილი 01008010953.

საზოგადოების საქმიანობის სახე: საავადმყოფოების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

შ.პ.ს. “ ალსს“ არის 100% დამფუძნებელი შ.პ.ს. “გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი“.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შ.პ.ს. “ ალსს “-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსფასს); ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე , რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა

2.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 15-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

2.8 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობაში მყოფ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობაში მყოფ აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი ფასით აღრიცხვის მეთოდით.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 ზანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.14 პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ერთი არსებითი სასამართლო დავა. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

2.15 გადასახადები

კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები.

2.16 დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმო, ან მისი სათავო საწარმო, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

2.17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	115280	188132	4420
ნაღდი ფული	248	5336	4590
სულ	115528	193468	9010

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1469441	1950013	2224386
სხვა მოთხოვნები	5157	6301	0
სულ	1474598	1956314	2224386

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	59665	122945	98934
სხვა	0	0	0
სულ	59665	122945	98934

2.6 ძირითადი საშუალებები

	მიწა	ბიოლოგიური აქტივები	ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 31.12.2021	0	0	1,461,222	1,461,222
შემოსვლა	-	-	31,106	31,106
გასვლა	-	-	-16,642	-16,642
დარიცხული ცვეთა	-	-	-78,202	-78,202
ნაშთი 31.12.2022	0	0	1,397,484	1,397,484
შემოსვლა	-	-	241,726	
გასვლა	-	-	0	
დარიცხული ცვეთა	-	-	-120,512	
ნაშთი 31.12.2022	0	0	1,518,698	1,397,484

2.7 არამატერიალური აქტივები

	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი 31.12.2021	1700
შემოსავალი/გასავალი	0
ცვეთა	-255
ნაშთი 31.12.2022	1445
შემოსავალი/გასავალი	0
ცვეთა	-216
ნაშთი 31.12.2023	1229

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	124262	431291	431763
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	761858	1027389	1027389
საგადასახადო ვალდებულებები	277548	345009	347273
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	113474	30605	50175
სულ	1277142	1834295	1856600

2.9 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სასესხო ვალდებულებები	544206	847962	1009936
სულ	544206	847962	1009936

2.10 ამონაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	5103097	6928825	5965704
სულ	5103097	6928825	5965704

2.11 ხარჯი

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
რბო	1374698	1952290
დასაქმებულთა ანაზღაურება	2748294	4570872
ცვეთა და ამორტიზაცია	120728	78203
საპროცენტო ხარჯი	41954	34930
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	180000	177202
იჯარის ხარჯი	501326	165000
სულ	4967000	6978497

3. ფინანსური ანგარიშის დამტკიცება

კომპანიას ფინანსური ანგარიში დამტკიცებული აქვს და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

